

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეთნოლოგია	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეთნოლოგიის მაგისტრი	
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. საიდანაც 90 ECTS კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს(მათგან - 10 ECTS კრედიტი - არჩევით კურსებს), 30 ECTS კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას.	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მომზადოს მაგისტრები ეთნოლოგიის სფეროში სამეცნიერო- კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის. მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ეთნოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.	
სწავლის შედეგები  (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)		<b>დარგობრივი კომპეტენციები</b>
	<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ეთნოლოგიის თეორიული და მეთოდოლოგიური მიმართულებებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ; ფლობს კვლევის თანამედროვე მეთოდებს; აქვს ტერიტორიის შერჩევის, საველე ექსპედიციის დაგეგმვის, ორგანიზების, მოძიებული მასალების ფუნქციონალური, ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, სისტემატიზაციის, კამერალური სამუშაოების თუ კვლევის დარგობრივი უნარ-ჩვევები; შეუძლია საველე მასალებში ასახული კულტურული-ისტორიული პროცესების კანონზომიერებათა დადგენა და ინტერპრეტაცია.  აქვს ხალხთა ტრადიციულ-ყოფითი კულტურის გენეზისის, ურთიერთზეგავლენისა და თავისებურებების ღრმა და სისტემური ცოდნა და ამის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოაყალიბების უნარი; აცნობიერებს კავკასიის ხალხთა, მათ შორის ქართველების როლს ზოგადსაკაცობრიო კულტურაში.
	<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	შეუძლია აღწერითი და სამეცნიერო ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური მონაცემების შეგროვება, საველე მასალის ტიპოლოგიური დამუშავება, აღწერა, დახასიათება, კლასიფიკაცია, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება; ახალ და მულტიდისციპლინარულ გარემოში მოქმედება და ინტერ-დისციპლინარულ ჯგუფებთან მუშაობა, შერჩეული ტერიტორიის ეთნოგრაფიული შესწავლის აუცილებლობის დასაბუთება, ცალკეულ დასახლებულ უბანში, სოფელში საველე სამუშაოების გაძღოლა, კვლევა და დოკუმენტაციის წარმოება;
	<b>დასკვნის უნარი</b>	შეუძლია კავკასიისა და მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ტრადიციულ-ყოფითი კულტურის კომპლექსური შესწავლა, შეპირისპირება და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; საკვლევი პრობლემის გამოკვეთა და დასაბუთება, მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრა, ემპირიული და თეორიული მასალის შეგროვება და ანალიზი, ობიექტური დასკვნების გაკეთება; ველზე წამოჭრილი ახალი და რთული პრობლემების გაცნობიერება, ანალიზი, მათი გადაჭრის სტრატეგიის დაგეგმვა და სწორი დასკვნის გაკეთება; თემის მოძიება, იდეის

		შესაბამისად კვლევის დაგეგმვა, მონაცემების ან ინფორმაციის სისტემატიზებული მოგროვება, კვლევის მონაცემების ანალიზი, ლოგიკური და გააზრებული არგუმენტების გამოყენებით დასკვნის გაკეთება;
	<b>კომუნიკაციის უნარი</b>	ჩამოყალიბებული აქვს კომპიუტერული და ინტერნეტრესურსების დარგთან მიმართებაში გამოყენების უნარი; შეუძლია შექმნილი ცოდნისა და ეთნოლოგიური კვლევის შედეგების გადაცემა აკადემიური და არაკადემიური აუდიტორიისათვის, თეორიული, კვლევითი და პრაქტიკული შედეგების წერიითი და ზეპირი ფორმით პრეზენტაცია.
	<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია სწავლებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დამოუკიდებლად წარმართვა და დარგში მიღებული ცოდნის მუდმივად განახლება. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა, კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი მაგისტრს მისცემს შესაძლებლობას, შექმნას მაღალი მეცნიერული ღირებულების მქონე ნაშრომი შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ეთნოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემაზე.
	<b>ღირებულებები</b>	აქვს საქართველოს და მისი ისტორიული უახლოესი მეზობელი სახელმწიფოებისა და ერების კულტურის პატივისცემა და შეუძლია ამ იდეების საზოგადოებაში დამკვიდრება; შეუძლია დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით მუშაობასა და სასწავლო პროცესში ინოვაციური ღირებულებების შეტანა და დანერგვა.
<b>შეფასების წესი</b>	<b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b>  ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) მაღიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.  (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.	
<b>საკონტაქტო პირი</b>	<b>პროგრამის ხელმძღვანელები:</b> პროფესორი ნუგზარ მგელაძე ასოც. პროფესორი თამაზ ფუტყარაძე ასოც. პროფესორი მანუჩარ ლორია <b>ტელ:</b> 577 509292; 577 179723; 577 94 09 94. <b>ელ-ფოსტა:</b> <a href="mailto:mgeladzen@yahoo.com">mgeladzen@yahoo.com</a> ; <a href="mailto:txil1968@mail.ru">txil1968@mail.ru</a> ; <a href="mailto:mloria@bsu.edu.ge">mloria@bsu.edu.ge</a> .	